




ქალთა ფუნდი საქართველოში  
WOMEN'S FUND IN GEORGIA



წლიური ანგარიში

2011



2011 წელი ქალთა ფონდისთვის ახალი და მნიშვნელოვანი წარმატებების წელი იყო, როგორც საგრანტო პროგრამების გაფართოვების, ისე საზოგადოებაში ჩვენი ფონდის საქმიანობის პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

ამ წლის განმავლობაში ფონდმა რეკორდულად ბევრი – 125 გრანტი გასცა, მათ შორის ადგილობრივი ფიზიკური პირებისგან მიღებული სახსრებიდანაც, რაც ფონდის მიერ ორგანიზებული პიარ და ფანდრაიზინგის ღონისძიებების რეალური შედეგი გახლავთ.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ სულ უფრო და უფრო ბევრი ადამიანი დავაინტერესეთ ჩვენი საქმიანობით, გავაფართოვეთ ფონდის მხარდამჭერთა რიცხვი და ძალიან ბევრ ქალს მივეცით საშუალება საკუთარი მიზნები და ინიციატივები განეხორციელებინა, გაძლიერებულიყო და თავის ძალისხმევით სხვა ქალების ცხოვრებაც სასიკეთოდ შეეცვალა.

ქალთა ფონდის სახელით თანამშრომლობისთვის უღრმეს მადლობას გიხდით ყველას, ჩვენს დონორებს, პარტნიორებსა და მხარდამჭერებს მჯერა – ფონდის წლებანდელი შედეგები მისი სამომავლო წარმატებებისა და ნოვაციების საფუძველი გახდება.



პატივისცემით,  
ნანა ფანცულია  
ადმასრულებელი დირექტორი

3

2011 წლიდან ქალთა ფონდმა დაიწყო თავისი ახალი 5-წლიანი სტრატეგიული გეგმის განხორციელება, რომლის მიხედვით: ქალთა ფონდის ხედვაა

ძლიერი, თანასწორუფლებიანი, აღიარებული და ბედნიერი ქალი – თავისუფალ, უსაფრთხო, სამართლიან სამყაროში. ქალთა ფონდის მისიაა

ქალთა გაძლიერება საქართველოში სოციალური ცვლილებებისათვის, ფინანსური და ტექნიკური დახმარების, უნარების განვითარების და ფემინისტური ფილანთროპიის ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით.

**ფონდის მისიას ოთხი სტრატეგიული მიზანი უდევს საფუძვლად**

- ♀ ქალთა აქტიურობისა და თვითრეალიზაციის ხელშეწყობა
- ♀ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრულფასოვანი მონაწილეობის და ქალთა მოძრაობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- ♀ ადგილობრივი ფემინისტური ფილანთროპიის ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- ♀ ფონდის ინსტიტუციური გაძლიერება

ქალთა ფონდის საქმიანობის ძირითადი სფეროებია

- ♀ ქალთა უფლებების დაცვა
- ♀ ქალთა ჯგუფების გაძლიერება
- ♀ ქალთა საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება
- ♀ ქალთა განათლება
- ♀ ქალთა ჯანმრთელობა
- ♀ ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა
- ♀ ქალთა პოლიტიკური აქტივობა
- ♀ არაძალადობა
- ♀ ქალთა ქსელური მუშაობა
- ♀ ქალთა ლიდერობა

ამ სფეროების ფარგლებში ფონდი მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით

- ♀ გრანტები ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფებისა და ფიზიკური პირებისათვის
- ♀ ტექნიკური დახმარება ქალთა დამწყები ჯგუფებისთვის
- ♀ ქალთა უნარების განვითარება



ქალთა ფონდმა

2011 წლის

განმავლობაში

121

ბრანტი

საქართველოში

# პროგრამები

ლია კარის საგრანტო პროგრამა 2011  
მხარდაჭერილი პროექტები

გრანტის მიმღები: ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია  
“ღირსეული სიბერე”

პროექტის სათაური: „ხანდაზმულ ქალთა კლუბი“

რეგიონი: აჭარა, ქობულეთი

პროექტის ხანგრძლივობა: 6 თვე

პროექტის მიზანია ოცდაათი სოციალურად დაუცველი, მარტოხელა, ხანდაზმული ქალის მხარდაჭერა მათთვის საგანგებო კლუბის შექმნით, რომლის საქმიანობაც მთლიანად მიმართულია კლუბის წევრთა სოციალური იზოლაციის გარღვევისაკენ.

გრანტის მიმღები: ეკა აღდგომელაშვილი

პროექტის სათაური: „სექსუალური/გენდერული იდენტობის რეპრეზენტირება ქართულ მედიაში“

რეგიონი: თბილისი

პროექტის ხანგრძლივობა: 6 თვე

პროექტის მიზანია 2007-2010 წლების ქართულენოვან მედიაში სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის რეპრეზენტირების კვლევა.

პროექტის ფარგლებში მომზადებული ანგარიში მიეწოდება მედიას და ყველა დაინტერესებულ მხარეს.

გრანტის მიმღები: „საქართველოს ქურთ-იეზიდ ქალთა ლიგა“

პროექტის სათაური: „დავიცვათ თავი საკუთარი უფლებების ცოდნით“

რეგიონი: თბილისი, ქვემო ქართლი, კახეთი

საგრანტო პერიოდი: 4 თვე

პროექტის მიზანია ქურთ-იეზიდ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება ქალთა უფლებებზე და გენდერულ ძალადობაზე ინფორმაციის მიწოდების, საგანმანათლებლო სემინარების, იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციების ჩატარების გზით.

გრანტის მიმღები: „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი“

პროექტის სათაური: „ჩვენ - ქალები მშვიდობიანი მომავლისაკენ“

რეგიონი: თბილისი

პროექტის ხანგრძლივობა: 3 თვე

პროექტის მიზანია საქართველოს კონფლიქტურ რეგიონში მცხოვრები გოგონების დახმარება, მათი ინტეგრაციისა და ახალი ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობა.

გრანტის მიმღები: „მეცნიერი ქალები მეცნიერი ქალების ინტერესებისთვის“  
პროექტის სათაური: ცნობარი „მეცნიერი ქალები - საქართველო, XX საუკუნე“  
რეგიონი: თბილისი  
პროექტის ხანგრძლივობა: 6 თვე  
პროექტის მიზანია მეცნიერი ქალების შემოქმედებითი მიღწევების გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის ელექტრონული ცნობარის გამოცემის გზით  
(<http://geowomen.wordpress.com/women-scientists/>)

გრანტის მიმღები: „სტუდიოპოლი – აქცენტი მოძრაობაზე“

პროექტის სათაური: ვიდეოარქივი ქალებისათვის რეგიონი: თბილისი

პროექტის ხანგრძლივობა: 6 თვე  
პროექტის მიზანია ორგანიზაციის მიერ გადაღებული საარქივო მასალის გადარჩენა (ფირების კონვერტირება, სისტემატიზაცია და ვაციფრულება). საქმე ეხება ორგანიზაციის მიერ 1998 წლიდან გადაღებულ ვიდეოპროდუქციას, რაც საქართველოში ქალთა მოძრაობასა და ქალთა მდგომარეობას ასახავს.

გრანტის მიმღები: ქალები რეგიონის განვითარებისთვის  
პროექტის სათაური: „ნასაკირალის ქალები“  
რეგიონი: გურია, ნასაკირალი  
პროექტის ხანგრძლივობა: 3 თვე  
პროექტის მიზანია ნასაკირალის (მაღალმთიანი აჭარიდან ჩამოსახლებული) და მიმდებარე სოფლების ქალთა ჯგუფების დაახლოვება, მათ განსხვავებულ რელიგიასა და ღირებულებებთან დაკავშირებული სტერეოტიპების ტრანსფორმაცია.

გრანტის მიმღები: „ერთად ვაშენოთ ცხინვალი“  
პროექტის სათაური: “ჩვენ ცხინვალიდან მოვდივართ”  
რეგიონი: შიდა ქართლი, გორი  
პროექტის ხანგრძლივობა: 2 თვე  
პროექტის მიზანია სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ცხინვალები ქალის ერთმანეთთან შეხვედრა, მათი ღვაწლის წარმოჩენა, მათი სამშვიდობო ინიციატივებისა და პრობლემური საკითხების გაშუქება მედიის საშუალებებით.



გრანტის მიმღები: „ქალი და სამყარო“  
პროექტის სათაური: „ქალთა გააქტიურების ხელის შეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში“

რეგიონი: ქვემო ქართლი, ბოლნისი  
პროექტის ხანგრძლივობა: 3 თვე  
პროექტი გულისხმობს სოფლად მცხოვრები ქალების ინფორმირებას პარლამენტისა და არჩეულ დეპუტატთა მოქალაქეების მიმართ ანგარიშვალდებულების შესახებ, ლიდერ ქალთა საინიციატივო ჯგუფის შექმნას, ადგილობრივი პრობლემების გამოვლენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიური ჩართვისათვის.

გრანტის მიმღები: სოციალური ცვლილებების მხარდამჭერი ახალგაზრდები საქართველოში  
პროექტის სათაური: „ძალადობა ოჯახში, როგორც სოციალური პრობლემა“

რეგიონი: თბილისი  
პროექტის ხანგრძლივობა: 6 თვე  
პროექტის მიზანია გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობისა და სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ბლოგი:  
<http://youngsupporters.ge>

გრანტის მიმღები: ქალთა კლუბი „პეონი“  
პროექტის სათაური: „ატლანტისის“ აღჭურვა

რეგიონი: თბილისი  
პროექტის ხანგრძლივობა: 2 თვე  
პროექტი გულისხმობდა ნარკოტიკული დამოკიდებულების მქონე მსჯავრდებული ქალების სარეაბილიტაციო პროგრამის „ატლანტისი“ ფარგლებში შექმნილი სივრცის ტექნიკურ აღჭურვას.

## სწრაფი რეაგირების საგრანტო პროგრამა 2011

სწრაფი რეაგირების საგრანტო პროგრამას ქალთა ფონდი სწრაფი რეაგირების ფონდთან (UAF) თანამშრომლობით ახორციელებს. პროგრამა უზრუნველყოფს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ღონისძიებების მხარდაჭერასა და მცირე გრანტების გაცემას ისეთ შემთხვევებში, როდესაც რაიმე მოულოდნელი მოვლენა, პოზიტიური თუ ნეგატიური, ქმნის სიტუაციას, როდესაც აუცილებელია სწრაფი რეაგირება მნიშვნელოვანი შედეგის მისაღწევად.

2011 წლის განმავლობაში სწრაფი რეაგირების საგრანტო პროგრამის ფარგლებში გაიცა 4 გრანტი.

### მხარდაჭერილი პროექტები

გრანტის მიმღები: „მერკური“

პროექტის სათაური: „საქართველოს ახალგაზრდული ევროპული პარლამენტის სესია“

რეგიონი: სამეგრელო, ზუგდიდი

პროექტის ხანგრძლივობა: 3 დღე

პროექტი ფარგლებში ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდული ევროპული პარლამენტის 3

დღიანი რეგიონული სესია სამეგრელოსა და აფხაზეთის ახალგაზრდების მონაწილეობით.

სესიის კომიტეტებმა იმუშავეს ქალთა უფლებებსა და გენდერული საკითხებზე.

გრანტის მიმღები: „ფსიქოსერვისების ცენტრი“

პროექტის სათაური: „ინცესტის ფაქტები“

რეგიონი: აჭარა, ბათუმი

პროექტის ხანგრძლივობა: 1 თვე

პროექტი მიეძღვნა ინცესტის შემთხვევების გამოვლენას

აჭარის რეგიონში. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ჯგუფი

(იურისტის, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის,

ჟურნალისტის შემადგენლობით) ფაქტების შესასწავლად და

პრობლემის გასაშუქებლად სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლებთან.

გრანტის მიმღები: მეგობრობის ხიდი “ქართლოსი”  
რეგიონი: გორი, ქვემო ქართლი  
პროექტის ხანგრძლივობა: 3 თვე  
პროექტის ფარგლებში მოხდა ადამიანის უფლებათა  
დამცველი აქტივისტის ქვეყნიდან ევაკუაცია მისი  
უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

გრანტის მიმღები: ძალადობისგან დაცვის  
ეროვნული ქსელი  
პროექტის დირექტორი: ნატო შავლაყაძე  
რეგიონი: თბილისი  
პროექტის ხანგრძლივობა: 4 თვე  
პროექტის მიზნად ისახავდა სამოქალაქო კოდექსში  
მამობის დადგენასთან დაკავშირებული  
ცვლილებების განხორციელებას დნმ-ის  
სავალდებულო ტესტის შემოღების მეშვეობით.  
შედეგად, 2011 წლის დეკემბერში პარლამენტმა  
მიიღო ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის  
მიერ შეთავაზებული კანონპროექტი, რომელიც  
ადეკვატურ საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენს  
მამის იდენტიფიკაციის მოსახდენად.

## ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის პროგრამა 2011

ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის პროგრამის ფარგლებში ფონდი ახორციელებს პროექტს "ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოს პოსტ-კონფლიქტურ ზონასა და ძნელად მისადგომ რეგიონებში", ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. პროექტი 3 წლიანია და მოიცავს საქართველოს 4 რეგიონს: შიდა ქართლი, კახეთი, იმერეთი და რაჭა. პროექტის კომპონენტებია: პროექტის მონაწილეთა შერჩევა, შერჩეული ქალების ტრენინგი, მცირე საგრანტო კონკურსი ტრენინგის მონაწილეთა შორის, პროგრამის ევალუაცია და მონიტორინგი.

პროექტის ფარგლებში ქალთა ფონდის პარტნიორია ჰოლანდიური ორგანიზაცია "საქართველოს მეგობართა ასოციაცია" (SVGG), რომლის თანადაამფუძნებელი, გიორგი ხუციშვილი, თავად უძღვება პროექტის მონაწილეთა ტრენინგებს.

2011 წლის განმავლობაში პროექტმა მოიცვა: ახმეტა და ახლომდებარე სოფლები – ქისტაური, ზემო ხოდაშენი, მატანი, ალავერდი, ქვემო ალვანი, ზემო ალვანი, ბაბანეული; ქარელი და ახლომდებარე სოფლები – დვანი, რუისი, ღოღეთი, ფლევი; დევნილთა ჩასახლებები – ახალსოფელი და მოხისი; ჭიათურა და სოფლები – კაცხი, მღვიმევი, ბერევისა, ცხრუკვეთი და პერევი. პროექტის ფარგლებში ჩატარდა 4 ტესტირება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 266-მა ქალმა. ტესტირების საფუძველზე შერჩეული ქალებიდან 71 ქალმა გაიარა ტრენინგი (ხაშურში, ახმეტასა და ალვანში). ტრენინგის განმავლობაში ქალებმა განვიითარეს ბიზნეს უნარები, შეადგინეს ბიზნეს-გეგმები. წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმები მცირე გრანტების გაცემამდე ქალთა ფონდმა პროექტის მონაწილე ქალებთან ერთად საჯაროდ განიხილა მათი შენიშვნებისა და არგუმენტების გასათვალისწინებლად.

2011 წლისათვის პროგრამის ფარგლებში გაიცა 54 ინდივიდუალური გრანტი. დაფინანსებული პროექტების საქმიანობა მოიცავს შემდეგ სფეროებს: სოფლის მეურნეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მელორეობა, მესაქონლეობა, და სხვადასხვა სახის მომსახურება. ქალთა ფონდი სისტემატურად ახორციელებს დაფინანსებულ პროექტების მონიტორინგს, მხარდაჭერილი პროექტები კონტროლდება მათი მიმდინარეობის ყველა ფაზაში.

#### ქალთა ფონდის ინსტიტუციური განვითარება 2011

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში 2011 წლის განმავლობაში ქალთა ფონდის შტატს მიეცა შესაძლებლობა გაეუმჯობესებინა უნარ-ჩვევები და შეემუშავებინა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები - ფონდის 5-წლიანი სტრატეგიული გეგმა და 1-წლიანი სამოქმედო გეგმა, კომუნიკაციის სტრატეგიული გეგმა და ფანდრაიზინგის სტრატეგია.



## საქართველოში მცხოვრებ დევნილთა მარგინალური ჯგუფების ინტეგრაციის მხარდაჭერა

პროექტი განხორციელდა ორგანიზაციის ქალთა ფონდი საქართველოში მიერ სლოვაკურ ასოციაციასთან ადამიანები საფრთხეში თანამშრომლობით და სლოვაკეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტი მიმდინარეობდა 18 თვის განმავლობაში (თებერვალი 2010 – ივლისი 2011) შავშვების, წეროვანისა და გარდაბნის დასახლებებში და მასში მონაწილეობდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული დევნილი მოსახლეობა. პროექტი ფოკუსირებული იყო დევნილთა ყველაზე მონყველადი მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდაზე, დევნილთა ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე, დევნილთა სამოქალაქო ჩართულობისა და მათი სოციალური კაპიტალის გაზრდაზე.

### 2011 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები:

დევნილთა ინიციატივების მხარდასაჭერად გაიცა 46 მცირე გრანტი შეიქმნა 3 სათემო კომიტეტი 30 აქტიური დევნილის მონაწილეობით ჩატარდა სათემო კომიტეტების საერთო შეხვედრა გამოცდილების გასაზიარებლად ჩატარდა 3 საჯარო შეხვედრა მოსახლეობასთან ჩატარდა 6 პრაქტიკული კურსი 100 დევნილის მონაწილეობით: კომპიუტერის, კერვის, ფილაქნის დაგების, ცხობის, სამკაულისა და თექსის შემსწავლელი კურსები შავშვებსა და გარდაბანში 100 მონყველად ოჯახს ჩაუტარდა საცხოვრებელი ფართის რეკონსტრუქცია

განხორციელდა 9 სათემო პროექტი, რომელთა შედეგადაც შავშვებში აშენდა საჭიდაო მოედანი, დასასვენებელი სკვერი, საზოგადო შეხვედრის ადგილი; გარდაბანში შეკეთდა 5 და 9 სართულიანი შენობის სახურავები, მონესრიგდა სავინტილაციო და საკანალიზაციო სისტემები, შეკეთდა და ამუშავდა ლიფტი; წეროვანში კი გადაიხურა თონეები, აშენდა ავტობუსის გაჩერებები და გაკეთდა დასასვენებელი სკვერი.

## ქალთა უფლებების დაცვის კულტურის დანერგვა

საგრანტო კონკურსი „ქალთა უფლებების დაცვის კულტურის დანერგვა“ ქალთა ისეთი ინიციატივების მხარდაჭერას ისახავს მიზნად, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ქალთა მიმართ პოლიტიკის, პრაქტიკის, შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შეცვლას, ქალთა უფლებების დაცვას, არადისკრიმინაციული კულტურის დანერგვასა და გენდერული თანასწორობის მიღწევას.

პროგრამის ფარგლებში ჩატარებული საგრანტო კონკურსის უმთავრესი პრიორიტეტი იყო სოციალურ ცვლილებებზე ორიენტირებული ინიციატივები, მათ შორის:

- ♀ ქალთა უფლებების დაცვა
- ♀ ქალთა უფლებების დარღვევისა და დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენა, დოკუმენტაცია და მათზე რეაგირება
- ♀ გენდერული თანასწორობის კანონის განხორციელების ხელშეწყობა
- ♀ საკანონმდებლო ინიციატივები,
- ♀ მონიტორინგი, ადვოკატირება, ლობირება და კამპანიები ქალთა უფლებების დასაცავად
- ♀ CEDAW კონვენციის განხორციელება,
- ♀ ქალთა უფლებების და გენდერული საკითხების აკადემიური კვლევა
- ♀ გენდერულ საკითხების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება
- ♀ ქალთა იმ ჯგუფების უფლებების დაცვა, რომლებიც დისკრიმინაციის რამდენიმე ფორმას განიცდიან.

2011 წლის განმავლობაში პროგრამის „ქალთა უფლებების დაცვის კულტურის დანერგვა“ ფარგლებში გაიცა 10 გრანტი

## მხარდაჭერილი პროექტები

**გრანტის მიმღები:** კახეთის ბოშათა გაერთიანება „რომა“  
**პროექტის სათაური:** „ქალთა ცნობიერების ამაღლების ხელისშეწყობა ბოშათა თემში“  
**რეგიონი:** ქვემო ქართლი  
**პროექტის ხანგრძლივობა:** 6 თვე  
**პროექტის მიზანია,** ბოშათა თემში ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა მათი სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების გზით. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ფლაერის მომზადება და გამოცემა. ასევე, გარდაბნის რაიონში და თბილისში მცხოვრები ბოშებისთვის სემინარების ჩატარება ქალთა უფლებების დაცვის შესახებ.

**გრანტის მიმღები:** „თანაზიარი“, „სამეგრელო მედეა“, „იმედი“ და „მნათობი“  
**პროექტის სათაური:** „ქალი, უფლებები და საზოგადოება“  
**რეგიონი:** ზუგდიდი, სამეგრელო  
**პროექტის ხანგრძლივობა:** 6 თვე  
**პროექტი** კოალიციურია და მიმართულია სამეგრელოს რეგიონში გენდერულ საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებისკენ. პროექტის მიზანია რეგიონში ქალების უფლებების შელახვის შემთხვევების შემცირების ხელშეწყობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გზით.

**გრანტის მიმღები:** „პოზიტიური არჩევანი“ და „დაავადებათა პრევენციის, კონტროლი და გაუვრცელებლობის ასოციაცია“.  
**რეგიონი:** თბილისი  
**პროექტის სათაური:** ნარკოტიკების მომხმარებელ ქალთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნა  
**პროექტის ხანგრძლივობა:** 6 თვე  
**პროექტის მიზანია,** საადვოკაციო კამპანიის წარმართვა ნარკოტიკების მომხმარებელ ქალთა რეკრუტირებისა და მათთვის სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრის სერვისებზე ხელმისაწვდომობისათვის.



გრანტის მიმღები: „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“

პროექტის სათაური: „კამპანია ქალთა უფლებების დასაცავად გურიის რეგიონში“

რეგიონი: გურია, დგაბზეუ

პროექტის ხანგრძლივობა: 7 თვე

პროექტის მიზანია, ინფორმაციის მოძიება ადგილობრივ თემებში ქალთა საჭიროებების შესახებ, ადგილობრივი ბიუჯეტის მონიტორინგი ქალთა საჭიროებების გათვალისწინებით და გენდერული ბიუჯეტის სამართლიანად დაგეგმვის მიზნით რეკომენდაციის მიწოდება საკრებულოსათვის.

გრანტის მიმღები: საერთაშორისო ასოციაცია ქალთა მოძრაობა თანასწორობისათვის

პროექტის სათაური: „სოციალური მედია დევენილთა სამსახურში“

რეგიონი: დევენილთა დასახლება წეროვანში და კარალეთში

პროექტის ხანგრძლივობა: 6,5 თვე

პროექტის მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დევენილთა კომპაქტური დასახლებების საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება გენდერული თანასწორობისა და მისი მიღწევის მექანიზმების კუთხით. შესაბამისად პროექტი გულისხმობს ინტერნეტ-ტელევიზიის შექმნას და ასოციაციის საიტზე განთავსებას.

გრანტის მიმღები: „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ხაშურის რაიონული კომიტეტი“, პარტნიორი სათემო ორგანიზაციები: „ხცისი“, „ბროლოსანი“ და „თანაბრად“.

პროექტის სათაური: „გენდერული თანასწორობის კულტურის ელემენტების დანერგვა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში“  
რეგიონი: შიდა ქართლი, ხაშური  
პროექტის ხანგრძლივობა: 6 თვე  
პროექტის მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების განათლება გენდერული თანასწორობის მიმართულებით, საგანგებო ლობისტური ჯგუფის შექმნით, რომელიც ჩაატარებს გაკვეთილების ციკლს გენდერის თემაზე.

გრანტის მიმღები: „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“

პროექტის სათაური: „კანონი ქალის სამსახურში“

რეგიონი: თბილისი

პროექტის ხანგრძლივობა: 8 თვე

პროექტის მიზანია სამართლებრივი

მომსახურების განევა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის,

განქორწინებულ ქალთათვის ქონებრივ

უფლებებთან დაკავშირებით,

სოციალური შეღავათების საკითხებზე,

არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი

ქალებისათვის დახმარების განევა ახალი

საადვოკატო მეთოდების გამოყენებით (მედიაცია, მორიგება და სხვ.).

გრანტის მიმღები:

ორგანიზაცია „სხივი“

პროექტის სათაური: „შენ გიცავს კანონი“

რეგიონი: იმერეთი, ხარაგაული

პროექტის ხანგრძლივობა: 6 თვე

პროექტის მიზანია იმერეთის სოფლებში

მოსახლეობისა და პოლიციის

ინსპექტორებისთვის ქალთა უფლებებზე

ტრენინგების ორგანიზება, ქალთა

დისკრიმინაციის ფაქტების

გამოვლენა-მონიტორინგი საპატრულო

პოლიციასთან თანამშრომლობით.

გრანტის მიმღები: „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი“ და „შელენგ ჰენდი“

პროექტის სათაური: „ჩვენ გვაქვს ძალა, რომ საკუთარი უფლებები დავიცვათ“

რეგიონი: თბილისი

პროექტის ხანგრძლივობა: 6 თვე

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია გენდერული თანასწორობის 6-კვირიანი კამპანიის ჩატარება

თბილისის მასშტაბით, ინფორმაციის ვაგონცელება ქალებისა და გოგონების დისკრიმინაციის

ფაქტების შესახებ, ძალოვანი სტრუქტურების ჩართვა კამპანიის მიმდინარეობაში

გრანტის მიმღები: სამეცნიერო კვლევითი ცენტრი RADIX

პროექტის სათაური: „ელენე დარიანი – ლეგენდა და სინამდვილე“

რეგიონი: თბილისი

პროექტის ხანგრძლივობა: 10 თვე

პროექტი ეძღვნება ქართულ პოეზიაში ეროტიული პოეზიის ერთ-ერთი პირველი

ავტორის, XX საუკუნის დასაწყისში ელენე დარიანის ფსევდონიმით მოღვაწე პოეტის

ვიზაობის დადგენას, ელენე ბაქრაძისა და მასთან დაახლოებული პირების არქივების

შესწავლით. მეთოდების გამოყენებით (მედიაცია, მორიგება და სხვ.).

გარდა ამისა 2011 წელს პროგრამის ფარგლებში, ქობულეთში ჩატარდა „ინტეგრირებული ესაფრთხოების ვორქშოფი“, რომელსაც უძღვებოდნენ სერბეტიდან მონვეული საერთაშორისო ექსპერტები სანდრა ლუბინკოვიჩი და ელენა ჯორჯევიჩი. ურსი საგანგებოდ ქალთა უფლებების დამცველებისთვის არის შემუშავებული და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევების უკეთ გააზრებას ემსახურება. ვორქშოფში მონაწილეობა მიიღეს ქალთა ფონდის გრანტის მიმღებებმა, თანამშრომლებმა, ფონდის მმართველი და მრჩეველთა საბჭოს წევრებმა. ვორქშოფმა საშუალება მისცა მონაწილეებს, გაეანალიზებინათ აქტივისტთა უსაფრთხოების მდგომარეობა, განევიტარებინათ და ერტმანეთისთვის გაეზიარებინათ საპასუხო სტრატეგიები. გარდა უსაფრთხოებისა, ყურადღება გამახვილდა აქტივისტების კეთილდღეობის საკითხებზე და მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ მეტი გაეგოთ საკუთარ თავზე ზრუნვის, საკუთარ სხეულზე მუშაობის შესახებ, გაცნობოდნენ ტექნიკებს, რომლის გამოყენებაც ყოველდღიურ ცხოვრებაში შეუძლიათ.



## ქალთა ფონდის პიარ და ფანდრაიზინგის ლონისძიებები

ქალთა ფონდი თავისი ერთერთი სტრატეგიული მიზნის - ადგილობრივი ფემინისტური ფილანთროპიის ჩამოყალიბების ხელშეწყობა - განხორციელებისათვის 2011 წლის განმავლობაში რამდენიმე საინტერესო ღონისძიება მოაწყო: ფონდის პროგრამების პრეზენტაცია ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, საქველმოქმედო ვახშამი ნიუ-იორკში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან, გამოფენა "ჩემი სახელია", საქველმოქმედო პიკნიკი, ორი საქველმოქმედო კონცერტი - მეგი გოგიტიძის კონცერტი "მზე დამაქვს ხურჯინით" - პატიმარი ქალების სასარგებლოდ და ჯგუფის "უნგ უ ჟუნკიე" კონცერტი "Dance 2 Change" - ლბთ ქალების სასარგებლოდ. ყველა ღონისძიებას ჰქონდა კარგი მედია დაფარვა და გაშუქდა, როგორც ბეჭდვითი, ისე ელექტრონული მედიის და ტელევიზიის საშუალებით.

გარდა ამისა, ფონდმა დაამზადა ორი ვიდეო რგოლი:

- ♀ „ვირუსული ვიდეო“ გენდერული ძალადობის თემაზე, რომელიც ანონიმურად გავრცელდა ინტერნეტ-სივრცეში და უამრავი მომხმარებელ ჩართო ონლაინ დისკუსიაში ქალთა დისკრიმინაციის თემაზე;
- ♀ სოციალური რეკლამა "დიახ, მე ფემინისტი ვარ" (საზოგადოებრივ მაუწყებლზე უფასოდ განსათავსებლად) – ფემინიზმის მიმართ საზოგადოებაში არასწორი სტერეოტიპული დამოკიდებულების შესაცვლელად. ამავე მიზნით დამზადდა და გავრცელდა ფონდის პიარ მასალაც (მაისურები, ფლაიერები, ჩანთები და სხვ.)

ყველა აღნიშნული ღონისძიება ემსახურებოდა ფართო საზოგადოებისათვის ქალთა ფონდის საქმიანობის უკეთ გაცნობას და ადგილობრივი სახსრების შეგროვებას ფონდის ღია კარის საგრანტო პროგრამისთვის. შეგროვილი თანხით გაიცა 3 გრანტი.

## ქალთა ფონდის გუნდი ღირეპტორთა საბჭო



ნანა  
ფანცულაია



ასმათ ბეშიძე



მაკა  
ლომიძე



ნანა შულაძე



ნინო  
ქარაზანაშვილი

### შტატი

ნანა ფანცულაია – აღმასრულებელი დირექტორი

მარიამ ვაგოშაშვილი – პროგრამის კოორდინატორი

გულიკო ვედიანი – ეკონომიკური პროგრამის კოორდინატორი

ანა ჭილაძე – გრანტების მენეჯერი

ია ქაჯაია – ოფისის მენეჯერი

მაგდა ბერძენიშვილი – ბუღალტერი

თამარ თარხან-მოურავი – ფანდრაიზერი

იდა ბახტურიძე – კონსულტანტი

ღონორები და პარტნიორები



**Global Fund  
for Women**




ინდივიდუალური ღონორები

სანდრა ლუბინკოვიჩი  
მარტა დრუერი  
მეგი გოგიტიძე  
მანანა სირაძე  
ლალი სტურუა  
ეკა მანჯგალაძე  
ალექს შულემოვი

სანდრა ლუბინკოვიჩი  
მარტა დრუერი  
მეგი გოგიტიძე  
მანანა სირაძე  
ლალი სტურუა  
ეკა მანჯგალაძე  
ალექს შულემოვი  
ია არველაძე  
ანონიმური  
თამარ ნარიშანიძე  
ნინო ბურჭულაძე  
მკა კერესელიძე  
ზურა ხარბეღია  
შოთა პატარაია

ანა მარგიშვილი  
ალა ტატიშვილი  
თინათინ ჯაფარიძე  
მანანა კაიშვილი  
სოფო ტაბატაძე  
ნანა ჯანაშია  
დუენ ნიდჰამი  
ნუნუ ბენდუქიძე  
თენგიზ ჭავჭავაძე  
ანონიმური  
ბაია ნიქორიძე  
ნინო ეკიზაშვილი  
ლოის მაკულენ პარი, პასტორი  
ნიკი მაქინტაირი

თომ პასკო  
ნადინ მანუვადი  
ფიონა მაქქორმაკი  
ზურაბ ჯიმკარიანი  
თემო ეზუგბაია  
თაზო ლიბარტელიანი  
მაქსიმე მარაიძე



## საქმიანოვის შედეგების ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-11	31-დეკ-10
<b>აძტივები</b>			
მიმდინარე აქტივები			
ფული და მისი ეკვივალენტები დონორებისგან		62,501	207,243
მისაღები გრანტები	3	446,496	741,588
მოთხოვნები ქვეგრანტორების მიმართ	4	314,663	176,454
სხვა მოთხოვნები		140	105
<b>სულ მიმდინარე აძტივები</b>		<b>823,800</b>	<b>1,125,390</b>
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	18,670	24,343
სულ გრძელვადიანი აქტივები		18,670	24,343
<b>სულ აძტივები</b>		<b>842,470</b>	<b>1,149,733</b>
<b>ვალდებულებები და წმინდა აძტივებიდან</b>			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი გადასახადები		2	1
სხვა ვალდებულებები		255	259
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>		<b>257</b>	<b>260</b>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული საგრანტო შემოსავალი	6	817,377	1,079,936
სულ გრძელვადიანი აქტივები		817,377	1,079,936
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>817,377</b>	<b>1,079,936</b>
წმინდა აქტივები			
შეუზღუდავი წმინდა აქტივები		24,836	69,537
სულ წმინდა აქტივები		24,836	69,537
<b>სულ ვალდებულებები და წმინდა აძტივები</b>		<b>842,470</b>	<b>1,149,733</b>



	2011 წელი	2010 წელი
<b>ბრანტიანიდან მიღებული დაფინანსება</b>		
ასოციაცია ხალხი საფრთხეში	134,842	76,466
მამა ქეში	155,389	72,086
ქალთა გლობალური ფონდი	39,724	39,457
ფილია	11,462	1,209
ქალთა ფონდების საერთაშორისო ქსელი	-	4,237
ქალთა ფონდების ქსელი	1,313	-
სწრაფი მოქმედების ფონდი	18,872	3,287
ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო	173,543	140,425
ოუქ ფაუნდემენტი	44,874	-
სლოვაკ-ჩეხ ქალთა ფონდი	3,418	-
<b>სულ ბრანტიანიდან მიღებული დაფინანსება</b>	<b>583,437</b>	<b>337,167</b>
<b>სხვა შემოსავლები</b>		
ინდივიდუალური შემოწირულობები	1,840	-
საბანკო ნაშთებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	2,852	-
<b>სულ სხვა შემოსავლები</b>	<b>4,692</b>	
<b>გაცემული ძვირბანტიანი და საოპერაციო ხარჯი</b>		
ქვეგრანტების ხარჯი	(166,478)	(67,054)
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	(418,798)	(270,113)
საკურსო სხვაობები	(47,555)	(37,314)
<b>სულ გაცემული ძვირბანტიანი და საოპერაციო ხარჯი</b>	<b>(632,831)</b>	<b>(299,853)</b>
<b>შეუზღუდავი წინდა ბატივიანი (შემცირება) ზრდა</b>	<b>(44,702)</b>	<b>37,314</b>
<b>წინდა ბატივიანი წლის დასაწყისისთვის</b>	<b>69,538</b>	<b>32,223</b>
<b>წინდა ბატივიანი წლის ბოლოსთვის</b>	<b>24,836</b>	<b>69,537</b>

	2011 წელი	2010 წელი
<b>ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება</b>		
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
დონორებისგან მიღებული დაფინანსება	584,917	579,480
მიღებული შემონირობება	6,890	-
გაცემული გრანტები	(304,994)	(183,537)
საოპერაციო ხარჯები	(408,217)	(261,373)
<b>წმინდა ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>(121,404)</b>	<b>134,570</b>
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებების შექმნა	(4,946)	(29,300)
<b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(4,946)</b>	<b>(29,300)</b>
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან მიღებული პროცენტი	4,070	-
<b>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>	<b>4,070</b>	<b>-</b>
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში და მათ ეკვივალენტებში ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში საკურსო სხვაობა	(122,280) 207,243 (22,462)	105,270 108,491 (6,518)
<b>ფული და ფულადი ექვივალენტები, წლის ბოლოს</b>	<b>62,501</b>	<b>207,243</b>

საკონტაქტო ინფორმაცია

[www.womenfundgeorgia.org](http://www.womenfundgeorgia.org)

[www.facebook.com/womenfundgeorgia](https://www.facebook.com/womenfundgeorgia)

ტელ/ფაქსი: 955 32 293 50 94

ელ. ფოსტა: [info@womenfundgeorgia.org](mailto:info@womenfundgeorgia.org)

მისამართი: თბილისი 0105, ლადო ასათიანის 52, II სართული